ინსტიტუციური მოწყობის გავლენა საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების ეფექტურობაზე: საჯარო სამსახურის ბიუროს მაგალითი

"The Impact of Institutional Arrangements on the Effectiveness of Civil Service Reform Implementation: The Case of the Civil Service Bureau"

ლიზი ბერუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბობღიაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიზი ბერუაშვილი

აბსტრაქტი

საჯარო სამსახურის ბიურო, რომელიც 2004 წელს დაარსდა, 2025 წლის 1 აპრილამდე მოქმედებდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). სამინისტროებისა და სხვა პოლიტიკური დანიშნულების ორგანოებისგან განსხვავებით, ბიურო არაუფლებამოსილი იყო-მიეღო პირდაპირი გადაწყვეტილება, ჰქონდა მინიმალური პოლიტიკური გავლენა და არ გააჩნდა რეფორმების ინიციატივების განხორციელების ან კოორდინაციის შესაძლებლობა სამინისტროებსა და სააგენტოებში. ბიუროს ფუნქციას წარმოადგენდა საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სხელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა და მისი აღსრულების მონიტორინგი. ასევე ბიურო უზრუნველყოფდა ადამიანური რესურსების მართვის სტანდარტის დანერგვას საჯარო სამსახურებში.

ნაშრომი იკვლევს კავშირს ინსტიტუციურ მოწყობას, პოლიტიკურ პროცესებსა და პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობას შორის. კვლევა მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ როგორ მოქმედებდა ბიუროს ინსტიტუციური სტატუსი - კერძოდ, ის რომ ბიურო წარმოადგენდა სსიპ-ს და არა სამინისტროს, ზღუდავდა მის გავლენას რეფორმის განხორციელებაზე.

ნაშრომის დაშვებაა, რომ ბიუროს შეზღუდულმა პოლიტიკურმა როლმა, ჩამოაყალიბოს პოლიტიკური დღის წესრიგი, გავლენა მოახდინოს სამინისტროთაშორის კოორდინაციაზე ან დააწესოს რეფორმების სტანდარტები, შეაფერხა პროგრესი და რეფორმების მიზნები მიუღწეველი დატოვა. სწორედ, ეს ინსტიტუციური შეზღუდვაა მთავარი ფაქტორი, რომელიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს საჯარო სამსახურის რეფორმების წარმატებით განხორციელებაზე.

კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და დარგის

ექსპერტებთან, ასევე კანონმდებლობისა და გატარებული რეფორმების კონტენტ-ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: საჯარო სამსახურის რეფორმა, საჯარო მმართველობა, პოლიტიკის კოორდინაცია, საჯარო სამსახური ბიურო.

Abstract

The Civil Service Bureau (CSB), which was established in 2004, had been operating (valid until April 1, 2025) as a legal entity under public law (LEPL). Unlike ministries and other political bodies, the Bureau had not been unauthorized to make a direct decision, had had minimal political influence, and had not had the ability to implement or coordinate reform initiatives in ministries and agencies. This institutional limitation is the main factor that may affect the successful implementation of public service reforms.

The paper explores the relationship between institutional arrangements, political processes, and the effectiveness of policy implementation. The study aims to determine how the bureau's institutional status - namely, that the bureau represented the LEPL, not the ministry – had affected its ability to successfully implements reforms.

The paper's assumption is that the bureau's limited political role in setting a political agenda, influencing inter-ministerial coordination, or setting reform standards has hampered progress and left reform goals unattainable.

Qualitative research methods is used in the research, in particular semi-structured interviews with key stakeholders and experts in the field, as well as content analysis of legislation and implemented reforms.

Key words: civil service reform, public administration, policy coordination, civil service bureau